ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. № 29. 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1878 Წ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ, «ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲨᲝᲔᲒᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ, ᲡᲐᲮᲚᲘ № 5.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲐᲜᲢᲝᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲖᲔ.

«ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲤᲐᲡᲘ

ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲯᲔᲒᲣᲒᲖᲐᲕᲜ. 7 Მ. —
ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ . . . . . 3Მ.50Ჯ.
ᲗᲘᲗᲝᲗ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ . . . . . « 15 Ჯ.

ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲘᲗᲕᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲝᲜ «ᲘᲕᲔᲠᲘᲐ» ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲛᲙᲐᲗᲐᲗᲕᲘᲗᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ. ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜ. ᲓᲐ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲣᲤ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲥᲐᲨᲕᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲨᲘ, № 2. ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲐ: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Иверія».**

ᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲚᲐᲓ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲨᲣᲐᲦᲚᲘᲡ ᲝᲠ ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ: I. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ. („ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ) ᲙᲐᲮᲘᲫᲐᲛ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲫᲐᲛ.—II. ᲡᲐᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲫᲕᲐ.—III. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲚᲐ, ᲒᲐᲜᲗᲘ.—IV. ᲢᲐᲢᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ.—V. ᲣᲠᲬᲣᲜᲝ ᲓᲘᲔᲒᲝ (ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

ᲙᲐᲮᲘᲡ ᲣᲩᲐᲡᲢᲙᲘᲓᲐᲛ. («ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞ.). ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ, ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲘᲑᲘ ᲣᲤ. ᲑᲝᲓᲣᲡᲚᲝᲕᲡᲙᲘ ᲓᲐᲕᲔᲗᲮᲝᲕᲐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲗᲠᲘᲡ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲘᲡᲐᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲤᲘᲪᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲛᲨᲜᲐᲕᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲓᲣᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲣᲐᲩᲐᲚᲐᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲝᲜᲘᲓᲘᲡᲘᲐᲜᲗ ᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲠᲗᲔᲚᲡ ᲛᲗᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲐᲗᲘᲪᲔᲠᲘ ᲐᲐᲠᲩᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ. ᲔᲡ ᲐᲗᲘᲪᲔᲠᲘᲡᲬᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡ ᲛᲗᲠᲘᲓᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ.

ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲐᲜ ᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲩᲐᲘᲑᲐᲠᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲥᲐᲣᲠᲛᲐ ᲑᲔᲒᲔᲑᲛᲐ, ᲒᲐᲭᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲬᲣᲠᲑᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲨᲔᲘᲢᲧᲔᲒᲘᲡᲐᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲓᲔᲙᲔᲣᲠᲐᲗ ᲪᲔᲙᲕᲐᲡ ᲛᲝᲭᲕᲘᲜᲔᲡ, ᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲘᲓᲐᲜᲘ ᲓᲐᲒᲒᲠᲩᲐᲗ. ᲐᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲗ ᲬᲘᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡᲐᲪ ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲓᲣᲡᲚᲝ ᲡᲐ ᲐᲥ ᲐᲓᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲐᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲘᲡᲔ ᲬᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲬᲣᲓᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲢᲔᲮᲝᲑ ᲓᲐᲒᲚᲔᲯᲘᲚ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ ᲡᲬᲣᲓᲔᲑᲐᲗ. ᲮᲡᲐᲚᲘ ᲜᲐᲘᲑᲘ ᲡᲒᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲪᲐ ᲑᲝᲓᲣᲡᲚᲝᲕᲡᲙᲘ ᲡᲒᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ. ᲮᲥᲐᲣᲠᲘ ᲛᲪᲐᲠᲪᲕᲔᲚᲜᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲮᲡᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ; ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲔᲒᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲮᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲗᲕᲔᲡ. ᲛᲝᲘᲒᲘᲗᲮᲔᲡ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲣᲡᲮᲓᲜᲔᲜ, ᲓᲐᲣᲬᲔᲔᲡ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲮᲐᲠᲐᲙᲘ. ᲮᲥᲐᲣᲠᲘ ᲜᲐᲘᲑᲘᲪ ᲛᲝᲣᲣᲕᲐ ᲮᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲐᲮᲐᲠᲐᲙᲔᲡ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝ ᲛᲔᲒᲔᲚᲜᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜᲝ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲒᲘ ᲛᲝᲒᲘᲓᲐ ᲜᲐᲘᲑᲘᲗᲐᲜ ᲠᲐᲓᲐᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲜᲐᲘᲑᲘ ᲗᲝᲮᲮᲨᲘ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲐ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲑᲔᲫᲜᲔᲑᲐ. ᲓᲐᲐᲬᲕᲠᲘᲜᲐ, ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲯᲔᲡᲓᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲗᲐ, ᲗᲐᲜ ᲜᲐᲘᲑᲗᲛᲐ ᲛᲝᲯᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲑᲔᲒᲔᲑᲗᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗ. ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲣᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲩᲘᲕᲚᲔᲚᲐᲓ, ᲔᲒᲝᲜᲐᲗ ᲠᲝᲛ ᲣᲤ. ᲑᲝᲓᲣᲡᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲗ ᲔᲡᲔᲪ ᲒᲐᲜᲣᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲑᲔᲒᲘᲡᲐ, ᲕᲐᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲒᲐᲒᲘᲭᲠᲘᲜᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲛᲐ ᲘᲡᲔ ᲕᲔᲠ ᲘᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲡ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲛᲝᲘᲮᲡᲠᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲔᲬᲝᲛᲑᲝᲓᲐ; ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲭᲘᲠᲓᲐᲗ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ, ᲔᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲝᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲮᲣᲗᲯᲔᲠ ᲜᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲣᲠᲗᲒ ᲣᲠᲗᲒᲐ-ᲭᲔᲕᲘᲡ ᲐᲩᲩᲔᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲒᲘᲜᲝ ᲐᲠᲐᲧᲘᲡ ᲡᲛᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲘᲦᲝ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲝᲓᲣᲡᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲩᲔᲕᲜᲓᲐ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ; ᲘᲡᲘᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲒᲝᲜᲐ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲙᲘ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲘᲐᲛᲝᲣᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲪ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲓᲘ ᲒᲔᲠ

მოიგო. ხანდისხან ანდაზასაც ამბობს: ღმერთს მთა და ბარი არ გაუსწორებიაო და მე როგორ გავასწოროვო გლეხი, ბეგი და ვაჭარიაო სამართლის დროს. ამას ერთი მწერალი ჰყავს; თვითონ ლეკია, მაგრამ უფ. ბოლუსლოვსკისთან ცოტა ხანს ნამსახურია, და ცოტაოდენი სამსახურიც ესმის; სამართლის დროს რომ ხედავს უკანონობას, გულზედ მოდის და ავარიის ენით ეუბნება, რასა შვრებიო, ის ნაიბი ასე არ იქცეოდაო.

ჩვენმა კახელებმა ალათემურში ხალილბეგის მიწაში ყანები გათიბეს; ეს ხუთმეტი დღე არის რაც გაათავეს, ადგილშივე აწყვია ძნები. ნებას არ აძლევს ხალილბეგი, რომ გამოზიდონ. ქერები თითქმის წვიმაში დალპა. ამ ნაიბს ბუზის ტოლათაც არ მიაჩნია და, ყურადღებასაც არ აძლევს. ეს ერთი კვირა არის, რაც მაზრის ნაჩალნიკისაგან ბძანება მოუვიდა, რომ თვით ნაიბი ჩავიდეს და შეარიგოსო, რათა საწყალი გლეხები შიმშილით არ დაიღუპნენო. უფ. ნაიბი ყოველ დღე თითო მიზეზს იგონებს და ხალილბეგის ხათრით არ მიდის. ამის ხათრი და მეგობრობა ხალილბეგთან გლეხებს სამას თუმანს ზარალს აძლევს. სულითა და გულით გლეხები ელოდებიან უფ. ბოლუსლოვსკის მოსვლას.

ამ ორი კვირის განმავლობაში ჯერ მარტო კახში ერთი სახლი დაწვეს, ერთი კაცი დასჭრეს, მლიერ მდიდარი სახლის პატრონი.

კახელი მშრომელი.

10 ივლის, 1878 წ.

ქუთაისის თეატრის მატიანე.

წარმოდგენა 19 ივლისს, სოხუმელთ სასარგებლოდ.

(„ივერიის" კორრესპონდენცია.)

19 ივლის ჩვენს სცენაზე წარმოდგენეს „ცელქები" ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი და „უსახელო კომედია." როგორც პირველი, ეგრე მეორე ამ პიესთაგანი მაყურებელთაგან უაზრო სიცილის მეტს არა რას იწვევს. ეტყობათ ჩვენ სცენის მოყვარეთ ავიწყდებათ იგი ჭეშმარიტება, რომ „თეატრი უნდა იყოს ხალხის სასწავლებელი, სადაც იგი უნდა ისმენდეს ყველაფერს რაც კი აღვიძებს დიდ-სულოვნებას, სდევნის ბოროტობას, იწვევს ძმობას, ერთობას და.......აქეზებს სწავლას, მიწაში აძვრენს სიძვას, ჰნერგავს პატიოსნებას და უმანკოებას" და სხვ. და სხვ. იმავე დროს, შექსპირისა არ იყოს, „სცენაზე უნდა გამოიხატებოდეს ბუნება, რათამცა სიკეთემ და სიბოროტემ, დრომ და ხალხმა, როგორც სარკეში ეგრე უნდა დაინახონ თავიანთი თავი სცენაზე..." წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრი იქნება სალაზღანდარო ასპარეზი, როგორათაც სამწუხაროდ ჩვენი სცენაც გახლდათ 18 ივლისს და 19 ივლისს და კვლავაც იქნება თუ „ბებო, მინას და კ—ა"-ს „ცელქები"-ს, და სხვა ამ გვარ ქარაფშუტა კომედია ვოდევილების წარმოდგენას თავი არ დაანებეს.

თვით წარმოდგენა 19 ივლისს გვარიან-კარგად წავიდა. წარმოდგენას ცოტათი ფერს უკრთობდა იგი შემთხვევა, რომ აქტიორეს როლი გაზეპირებული არ ჰქონდათ და ამიტომაც ჯერ მოჩურჩულეს (soufleur) ხმას გაიგონებდი და მერმე აქტიორისას...

არაფერს ვამბობ ნაცნობ აქტიორების თამაშობაზე, რადგანაც მკითხველი თვით მიხვდება თუ როგორ უნდა ეთამაშნათ მათ ამ გვარ ადვილ წარმოსადგენ პიესებში, როგორნიც „ცელქები" და „უსახელო კომედია" არიან.

მკითხველებისაგან უცნობ აქტიორებზე შემდეგს ვამბობ:

უფ. ანნა მრევლოვს კარგ აქტიორობამდე არაფერი აკლდებოდა ქართულად რომ სამაგელ კილოვნებით, რუსულზე გადაკვრით არ ლაპარაკობდეს....

უფ. იაკინთე ყიფიანი—ძრიელ კარგად არდგენდა იმერელ ბიჭების როლს «უსახელო კომ.». როგორც შევნიშნეთ ეს უფ. ჩვენის ხალხოსნობის ცხოვრებითგან შედგენილ როლებს (გარდა სატრაღედიოის რომელშიაც იგი ჯერ არ გვინახავს) ყოველთვის ძრიელ კარგად, თითქმის უნაკლულოდ, არდგენს...

ი—ა ი—ძე.

ქუთაისიდამ გაზეთს „დროებას" ჰსწერენ, „რომ მილიციონერების კენჭის-ყრა ისე გათავდა აქაო, რომ თითქმის არაფერი უწესოება არ მომხდარაო. ამის მიზეზს იმას ამბობენ, რომ ბევრს სოფლის საზოგა-

დოებაში კენჭის-ყრის ორრას თვითონ უფ. ქუთაისის ღუბერნატორი დაესწრებოდა და განსაკუთრებული ყურადღება ჭქონდა მიქცეულიო, რომ ადმინისტრაციის წვრიმალ ჩინოვნიკებს არავითარი უწესობა და უკანონობა არ ჩადინათო.

„ᲣᲤᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲚᲐᲓ-ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲘᲪᲕᲐᲜᲔᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲥ ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲠᲯᲘᲡᲨᲝᲑᲐᲨᲘ.“

—

იმავე გაზეთში სწერია შემდეგი: „ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ-ᲣᲡᲐᲛᲓᲒᲔᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲒᲖᲐᲠᲮᲚᲡ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲐᲠᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲚᲘᲝᲡ — ᲡᲐᲓ, ᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲐᲛᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲐ; ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲐᲐᲤᲐᲡᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲡ, ᲔᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲮᲘᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ.“

საპოლიტიკო მიმოხილვა

ბერლინის კონგრესის განაჩენი ესლა მთლად არის საქმეულად გამოცხადებული და დღეს თუ ხვალ ხელმოწერილ უნდა იქმნეს ყველა სახელმწიფოთის მიერ. ახლა ე. ი. იმისთანა რამ რაც უწინაც ნაწ�ეტ-ნაწcuეტ არ იყო ცნობილი გაზეთებიდამ, ამ სიგელში თითქმის არა არის რა. აქ მოგახსენებთ მხოლოდ იმას, თუ რა გვარი ცვლილება უნდა მოჰყვეს ბალკანიის ნახევარ კუნძულს კონგრესის გარდაწყვეტილების ძალით სან-სტეფანოს შერიგების პირობათა შედარებით. სერბიას სან-სტეფანოს შერიგების ძალით ემატებოდა 180 ოთხ-კუთ. მილი, კონგრესმა კი მიანიჭა სერბიას 210 ოთხ-კუთ. მილი, რომელზედაც ცხოვრობს 280,000 სული, ასე რომ ახლად მოწყობილს სერბიის სამეფოს სიგრცე შეადგენს 1,000 ოთხ-კუთ. მილს, და მცხოვრებთა რიცხვი 1,600,000 სულს.—ჩერნოგორიას ეძლეოდა სან-სტეფანოს შერიგების ძალით სიგრცე 210 ოთხ-კუთ. მილი, ბერლინის სიგელის ძალით კი ეძლევა მხოლოდ 80 ოთხკ. მილი და 50,000 მცხოვრები სული; ასე რომ ჩერნოგორიას ეპურება 165 ოთხ-კუთ. მილი და 250,000 მცხოვრები სული.—ბოლგარიას, დუნურად იგნატიევის ძალით, უნდა დაეჭირა სიგრცე არა ნაკლებ 2,500 ოთხკ. მილისა, რომლის მცხოვრებთა რიცხვი ოთხი მილიონი უნდა ეთვალიეო; ესლა კი მოსარკე ბოლგარიას უნდა ეპურას მხოლოდ 1,170 ოთხ-კუთ. მილი და 1,700,000 სული.—აღმოსავლეთ რუმელიას ეჭირება 660 ოთხ. მილი და ეყოლება 100,000 მცხოვრები სული.—რუმინიას, რომელსაც ერომეკა ბესსარაბია და ეძლევა მას მაგივრად დობრუჯა, ემატება სიგრცე 130 ოთხ-კუთ. მილი და 100,000 სული, ასე რომ მისი სიგრცე მთლად შეიცავს 2,330 მილს და 4,700,000 მცხოვრებ სულს.

აქამდინ ევროპიის ოსმალეთს (მოსარკე სამეფონიც რომ მივთვალოთ) ეპურა სიგრცე 9,060 ოთხ-კუთ. მილი და მასზედ მცხოვრებთა რიცხვი იყო ოც-და-ორი მილიონი სული. ესლა, როგორც მოგესსენებათ, უწინდელი მოსარკე სახელმწიფონი სრულიად განთავისუფლებულნი არიან და არავითარი დამოკიდებულობა აღარ იქმნება მათთა და ოსმალეთის შორის. გარდა ამისა ოსმალეთს წაერთო ბოსნია და ჰერცოგოვინა (მთლად 1,060 ოთხ-კუთ. მილი და 1,300,000 სული). მაშასადამე ოსმალეთს ამას იქით ეპურება სიგრცე 4,505 ოთხ-კუთ. მილი და ეყოლება მხოლოდ 14,750,000 მცხოვრები სული. აქედამ რომ გამოვრიცხოთ კიდევ ბოლგარია, აღმოსავლეთის რუმელია და ის ნაწილი, რომელიც საბერძნეთს უნდა მიეცეს, პირ-და-პირ ხონთქრის მეფობელობის ქვეშ ევროპაში დარჩება მხოლოდ სიგრცე 2,475 ოთხ-კუთ. მილი და 11,750,000 მცხოვრები სული. ახლა ბიკონსფილდი იტყვის თავის გასამართლებლად, რომ კონგრესში სულაც ოსმალეთის განაწილებაზედ არ ჩამოვარდნილა ლაპარაკი. მაშ ეს რა არის თუ არ განაწილება? გარდა ამისა, ოსმალეთის მეფობელობა მცირე აზიაში ინგლისის ანაბარზედ არის მიგდებული. ინგლისმა, როგორც მოგესსენებათ, იკისრა ოსმალეთის დაცვა მცირე აზიაში. ამას უეჭველად უნდა მოჰყვეს ინგლისის ზედამხედველობა ოსმალეთზედ, ე. ი. ნამდვილად ოსმალეთი ხელ-თეს შეკრული იქმნება ინგლისის მიერ. თუ უბედურება რამ დაემართა ოსმალეთს და მას არსებობას უფრო დღე დაუმოკლდა, ინგლისი, რასაკვირველია, მალე იპოვის მიზეზს ხელი აიღოს ოსმალეთზედ, თუ, რასაკვირველია, მასთანვე, მისი კერძო სარგებლობაც იმას მოითხოვს. ერთის სიტყვით, ასეთუ ასე, გთავდა ოსმალეთის თვითარსებობა და თვით მეფო-

ბელობა; დღეის იქით მას უპატრონებს ევროპა, და უმთავრესად ინგლისი, ავსტრია და რუსეთი.

უწინაც მოგახსენეთ, რომ კონგრესმა უმეტესად სარგებლობა მოუტანა ინგლისსა და ავსტრიას; სხვა სახელმწიფონი კი ცოტად თუ ბევრად უკმაყოფილონი დარჩნენ, გარდა გერმანიისა, რომელმაც, თუმცა პირ-და-პირ არ არის ჩართული აღმოსავლეთის საქმეში, მაგრამ მაინც ცოტაოდენი სარგებლობა მაინც გამოიტანა კონგრესიდამ. პირველი ის, რომ დაიმკვიდრა მშვიდობიანობა, რომელიც ძრიელ საჭიროა მისთვის ამ ჟამად, როდესაც შინაობაში დიდი აღელვება და იქმნება არეულობაც მოელის. გარდა ამისა, საქმე იმ გვარად წაიყვანა, რომ ცოტად თუ ბევრად საფრანგეთი და ინგლისი დააშორა ერთი-ერთმანეთს: ამბობენ, გერმანიამ (ავსტრიამ და რუსეთმაც) წინათვე იცოდა თურმე ინგლისისა და ოსმალეთის შორის პირ-შეკრულობის არსებობა კიპრის თაობაზედ.

კონგრესის განაჩენის თაობაზედ უკმაყოფილება ისე აშკარად და მტკიცედ არსად გამოჩნდა, როგორც იტალიაში. ავსტრი-ვენგრიას უპყრია, როგორც მოგეხსენებათ, ზოგიერთა ადგილი, მოსახლეული მთლად იტალიელებით და რომელიც იმყოფება ზედ ამ ორთა სახელმწიფოის საზღვარზედ. იტალია გულ-ნაწყენია, რადგანაც ავსტრი-ვენგრიამ დიდი ლუკმა ჩაიგდო პირში, გაძლიერდა და, რასაკვირველია, მით ცოტად თუ ბევრად ნუგეში წაართვა იტალიას ზემოხსენებულ ადგილების (ტრიენტი, ტრიესტი, ისტრია) შეძენისათვის. ავსტრია სრულიად მუქთად იძენს ბოსნიას და ჰერცოგოვინასაო, ამბობენ იტალიელები, ჩვენი ძმები კი ისევ განშორებულნი არიანო და უცხო ქვეყნის მფლობელობის ქვეშ იმყოფებიანო. დიდძალი ხალხი იკრიბება იტალიაში სხვა და სხვა ადგილას და აცხადებს თვის უკმაყოფილებას. მაგალითებრ 9 მკათათვეს გაიმართა რომში დიდი ყრილობა, რომლის თავმჯდომარედ იყო ღენერალ გარიბალდის შვილი, მენოტტი გარიბალდი. მის სკამის უკან გამოფენილნი იყვნენ მუშა ხალხთა და სხვა საზოგადოებათა ბაირაღები. მენოტტი გარიბალდიმ წარმოსთქვა ცხარი სიტყვა კონგრესის განაჩენის წინააღმდეგ და ბოლოს მიმართა ძმური სალამი იმ იტალიელებისადმი, რომელნიც დღემდე ავსტრიის უღელ-ქვეშ იტანჯებიანო. ავსტრიას მანამ არ მოვასვენებთო, სთქვა მენოტტიმ, ვიდრე იგი იტალიას არ დაუბრუნებსო იტალიელ მაზრებსაო. ამ მიტინგის მეორე მოღვაწემ პორბონიმ მოაგონა ყრილობას, რომ ამ დღეს, სწორედ თორმეტის წლის წინედ, გარიბალდიმ დაამარცხა ავსტრიელები ტიროლში; ის კი არა თუ ამ ბრძოლის მრავალ გმირთა სამშობლო ჯერაც ავსტრიელების უღელ-ქვეშ იტანჯებაო. პორბინიმ ბოლოს აღიარა დიდი ძრახვა კონგრესის შესახებ, რომელიც „აძლიერებს მას ვინც აწყენინა და უსამართლოდ ეკიდება მას ვინც ნაწყენიაო." შემდეგ წაიკითხეს ღენერალ გარიბალდის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიაც მოხსენებული იყო შემდეგი: „ჩაგრულთ აქვსთ უფლება აჯანყებისა. ტრიესტის შვილნო, წადით თქვენ მთებში!" ბოლოს მიტინგმა მიიღო შემდეგი წინადადება:

«რომის მოქალაქენი, საჯაროდ შეყრილნი 21(9) მკათათვეს, საჭიროდ ჰრაცხვენ, რომ დიპლომატიის უპატიო ქვეშ-ქვეშობის მაგივრად დადგენილ იქმნენ სამართლიანობისა და ხალხთა ურთიერთობის დედა-აზრნი, რომელთაც უღალატა ბერლინის კონგრესმა. დარწმუნებულნი ვართ, რომ, როდესაც ყოველ ვაჟკაცს უპყრია იარაღი და ხმა (კენჭი), ხალხზედ ვაჭრობა დაუსჯელად შეუძლებელია. კარგად გვესმის აგრეთვე, რომ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომ იტალიელთ აქვსთ უფლება შეუერთდნენ თვის ნამდვილ სამშობლოს. რომის ხალხი აგონებს იტალიას, რომ უცხო ქვეყნელთა მფლობელობის ქვეშ ჯერაც იმყოფებიან იტალიელი პროვინციები და აღიარებს იმედს, რომ მალე დამკვიდრდება სამართალი და სიმართლე."

გარდა ამისა რომშივე გაიმართა სხვა ყრილობაც, რომელშიაც დადგენილ იქმნა შემდეგი მანიფესტი, რომლის საქვეყნოდ გამოფენა აკრძალულია მთავრობის მიერ: «რომაელნო! ბერლინის კონგრესმა დაარღვია გვარტომობის დედა-აზრი, რომელმაც მოგვცა ჩვენ სიცოცხლე. საბერძნეთი, ბოსნია, ჰერცოგოვინა, რუმინია და სხვა ხალხი, რომელნიც დაეძებდნენ ერთობას და თავისუფლებას, მოატყუვდნენ თვის მოლოდინში. თქვენ, რომელთაც დასძახეთ: «რომი ან სიკვდილი!» და მით თავი დაიხსენით პაპებისა და უცხო ქვეყნელთაგან და გამოხვედით უდიდეს საქმეთა აღსრულებისათვის, — თქვენ უნდა გააგებინოთ ესლა ევროპას და მთელს ქვეყანას, რომ რომი არის თვით რწმენა, რწმენა ხალხთა ურთიერთობისა და ეს რწმენა მიუძღვის წინ ყოველს თქვენს გარდაწყვეტილებას. იმ პირთა ხმა, რომელთაც მომეტებუ-

ლი ღვაწლი დაუდვიათ რომის იტალიასთან შეერთებისათვის, ხმა გარიცხულიყო, ავეტცანისა, სათვისა, კამპანელლასი, გიწვევთ თქვენ რათა აღსრულოთ მოვალეობა, რომელიც იქმნება წინამორბედი მეორე უფრო დიდსეულ მოვალეობისა, რომლის აღსრულებისათვის შესაძლებელია სვალეგ იყვნეთ მიწვეულნი. შეიარაღენთ და აღიარეთ უწმინდესი უფლება იტალიისა ტრიენტზედ და ტრიესტზედ. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი ძმები ტრიენტში და ტრიესტში მოუთმენლად მოელიან ჩვენგან ნუგეშს, სიტყვას, რწმენას. მაშ დაესწარინით ყველანი ერილობას რათა რომში დაცემულ კივილმა შეარეიოს თვით ალბიის მთა და ბარი.»

რაც შეეხება სათვრანგეთის, უწინაც მოგახსენეთ, რომ იგი გულანაწყენი დარჩა კონგრესის განაჩენის შესახებ. ეს უკმაყოფილება, წინაპირველად დიდად ცხარი, თან და თან უფრო დამშვიდდა. მაგრამ სათვრანგეთის მიმართულება ამ საგანზედ უფრო მტკიცედ გამოჩნდება მაშინ, როდესაც ბალატნი შეიკრიბებიან და აღმოსავლეთის საქმეზედ ჩამოვარდება დაპარაკი. მანამ კი მოგვაქვს გამბეტის სიტყვები, რომელიც უთქვამს მას ინგლისურის გაზეთის «Times»-ის კორესპონდენტისათვის. „რაც უნდა შეცდომილება და ნაკლულევანება იყოს ბერლინის სიგელში,—თქვა გამბეტამ,—მაინც იგი მოლად დიდი სიკეთეა, რადგარც საზოგადოთ ევროპისათვის აგრეთვე სათვრანგეთისათვისაც. უველაზედ უწინარეს ამა სიგელის ძალით დაცულია ევროპის მშვიდობიანობა. სხვაც რომ არა იყოს რა ესეც დიდი საქმეა, რომელიც სრულიად ჭეშარეტს წარილმან შეცდომას. არ უნდა დავიიწყოთ, რომ საქმეს მოჭეფა მრავალგვარი სიძნელე, რომელთა ძალით მოსალოდნელი არ იყო ეროპის მხრით უწონარი გარდაწყვეტილება. ისიც შესანიშნავია, რომ გამარჯვებულმა რუსეთმა ბ ტიკი სცა სალსოა-შორის უფლებას და სან-სტეფანოს მორიგების პირობები მოლად წარუდგინა კონგრესს. ესლა ევროპა თავისუფლად მაინც ამოისუნთქავს. უსამართლობა იქნება რომ არ აღვიარით კონგრესის მიერ მოტანილი სარგებლობა. რესპუბლიკელმა სათვრანგეთმა, რომელმაც საკმაოდ დაუმტკიცა ევროპას თვისი მიდრეკილება მშვიდობიანობისადმი, დიდი გამარჯვება დაიმკვიდრა ბერლინში. სათვრანგეთმა მოუმართა ს�d კონგრესს მშვიდობიანობის დაცვისათვის. თუმცა ბერლინის კონგრესმა მშვიდობიანობის მეტი არა მოგვიტანა რა, მაგრამ მაინც არ მიუდგები მის წინააღმდეგ. დაწვრილებით არ განვიხილავ კონგრესის ქმნილებას. ბერლინის სიგელში ბევრი იმისთანა რამ მოიპოვება, რაზედაც სვა შესაძლებელია მხოლოდ ღრმა მოსაზრების შემდეგ. მაგრამ ბერლინის სიგელს საზოგადოთ მოეწონა შედეგი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩემის ქვეყანისათვის. მან ბოლო მოუღო იმ გახხეთქილებას (ცალკეობას), რომელიც სუფევდა ევროპაში, მან ბოლო მოუღო იმ პოლიტიკას, რომლის ძალით თვითოეული სახელმწიფო მისდევდა არა თვის საკუთარს ბუნებითს სარგებლობას და მოთხოვნილებას, არამედ განგებ მოგონილს კეშარობას, რომელთაც თვით ბუნებითს სარგებლობას მსხვერპლად სდებდა ტრუ სარგებლობისათვის და რომლის ძალითაც სახელმწიფონი ერთი ერთმანეთს აჩვენებდნენ ვითომ ერთსა და იმავე მიდრეკილებას ვადგეგვართო, ნამდვილ გულის წადილს კი მალავდნენ“. გამბეტას აზრით ბერლინის კონგრესმა უჩვენა თვითოეულ სახელმწიფოს თუ რა პოლიტიკას უნდა დაადგეს იგი მომავალში. „ესლა არ გავსინჯამო, თქვა შემდეგ გამბეტამ, იმ სამ სახელმწიფოთა ზავს, (გერმანია, რუსეთი და ავსტრია) რომელიც დაარსდა 1873 წელს. მე არ ვამბობ, რომ ეს ზავი განსაკუთრებით სათვრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ როდესაც სამი სახელმწიფო ამ გვარ პირშეკრულობას ადგენს, ვინც მის წრის გარეთ რჩება შეუძლიან თქვას, რომ ეს პირშეკრულობა დადგენილია არა მის სარგებლობისათვის. სათვრანგეთს უფლება აქვს იკითხოს—ბერლინის კონგრესმა ხელუხლებელ დაგდო თუ არა 1873 წლის სამთა ზავი. ჩემის აზრით—არა. ავსტრიამ ასევე ალეგიანთა სამეფოებელოში იმ გვარი მდგომარეობა დიმკვიდრა, რომელიც ჭსდის ამ სახელმწიფოს არა რუსეთის მოზაგეს. როდესაც აღმოსავლეთის ერთს კიდურზედ ავსტრია არის დაყენებული უარეულად, მეორეზედ დაყენებულია ინგლისი. ეს ერთგვარი მდგომარეობა ჭბადავს ავსტრიასა და ინგლისის შორის ერთობას, რომელიც დღეს თუ ხვალ დაარღვევს სამთა ხელმწიფეთა პირშეკრულობას. ჩემის აზრით ბერლინის კონგრესმა სრულიად შეცვალა ის სიფუძვლი, რომელზედაც იყო დამყარებული 1873 წლის პირშეკრულობა. სათვრანგეთი სიამოვნებით მიეგებება ამა ცვლილებას იმ ზავში, რომელიც დადგენილ იყო უსათვრანგეთოდ, თუ არ მის წინააღმდეგ. ინგლისის პა-

ლიტიკასაც მოჰყვა არა ნაკლებ შესანიშნავი და საფრანგეთისათვის სასიამოვნო ცვლილება. კიპრის კუნძულის დაჭერით და ოსმალეთისთვის მფარველობის ქვეშ აყვანით აზიაში, ინგლისმა დაანება თავი თავის განსაკუთრებულ, გაცალცალკევებულ პოლიტიკას და ჩაერთო დანარჩენ ევროპის პოლიტიკაში. იგი აღარ იქმნება მხოლოდ მაყურებელი ევროპიის ამბებისა; იგი აღარ იქმნება დაშორებული ევროპიის სახელმწიფოთა პოლიტიკაზედ. საფრანგეთისათვის სასიხარულოა ეს ცვლილება. საფრანგეთისა და ინგლისის სარგებლობანი ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, რომ ორივე სახელმწიფო გამოჰყავთ დროებითს მარტოობიდამ. რუსთ-საფრანგეთის ზავი შეუძლებელია. ახალ მდგომარეობის ძალით ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს გონივრული და მიმართული კეთილის შედეგისადმი ყველასთვის. მაგრამ აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ საფრანგეთი იმისთანა რასმეს არას აპირებს, რისთვის უსათუოდ საჭირო ან სანატრელი იყოს რაიმე ზავი. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ კონგრესის განაჩენის ძალით ავსტრიისა და ინგლისის სარგებლობა აღმოსავლეთით ერთი და იგივეა. მეორეს მხრით, საფრანგეთის და ინგლისის სარგებლობანიც ერთნი არიან, ჩვენდა და საყოველთაო სასიკეთოდ".

— კონგრესის გარდაწყვეტილება ჯერ მთლად არ არის მოყვანილი სისრულეში. ავსტრიის ჯარი შევიდა კიდეც ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში. ოსმალოს ჯარმა დაუცალა შუმლა რუსებს; საქმე ვარნაზედ და ბათუმზედ არის მივარდნილი. ყველაზედ მარდათ და ბეჯითად, რასაკვირველია ინგლისელები იქცევიან: მაშინვე დაიჭირეს კიპრის კუნძული და მოჰყვნენ გაცხარებულ მოღვაწეობას. კუნძულის მმართველად დანიშნულია, როგორც მოგეხსენებათ უოლსლეი, რომელიც დიდ ბეჯითობას და მხნეობას მისდგომია. უოლსლეის გამოუცია შემდეგი პროკლამაცია კიპრის მცხოვრებთათვის: „მის დიდებულებამ დამაბარა დაგარწმუნოთ თქვენ იმ თანაგრძნობაში, რომელიც უღვივის მას თქვენდამი, და აგრეთვე დაგარწმუნოთ, რომ მას სურს მიიღოს იმ გვარი ზომიერება, რომელიც წინ წასწევს და შეიყვანს წარმატებაში ვაჭრობას და აღებ-მიცემობას, მოგანიჭებთ თქვენ კეთილ-დღეობას, რომელიც მოსდევს თავისუფლებას, სამართალს და უშიშროებას. მის დიდებულებას ჰსურს, რომ ჩვენ ვმართოთ კუნძულის საქმენი გვარტომის და სარწმუნოების განურჩევლად. სამართალი და კანონის მფარველობა ყველასთვის ერთი და იგივე იქმნება. მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ხალხის კეთილმდგომარეობა ყოველის მხრით წინ წაიყვანოს. გარდა ამისა პატივი უნდა მიეცეს მცხოვრებთა კეთილ სურვილს უწინდელ დაწესებულებათა და ადათთა დაცვისათვისათვის, იმ ადათთა და დაწესებულებათა, რომელნიც შეეფერებიან კეთილ მმართველობას, თავისუფლებას და ცივილიზაციას". თვითონ უოლსლეის აქვს თურმე განზრახვა დაიაროს კიპრის კუნძული და პირად შეიტყოს მცხოვრებთა აწინდელი მდგომარეობა და სურვილი. როგორც ისმის ცალკე კომისია იქმნება დანიშნული პირის მფლობელობის მოსამართავად. სამეფო მამულები კიპრში ისევ ხონთქარს შერჩება და სახელმწიფოს საკუთრება კი ინგლისის ხელში ჩავარდება. შესაძლებელიაო, იწერებიან გაზეთებში, რომ ინგლისი წინადვე სამუდამოდ დანიშნავსო თუ რამდენი ფული უნდა აძლიოსო ოსმალეთის მთავრობას.

ჩვენი შკოლა.*)

მოვესწარით, მკითხველო, დიდად სასიხარულო მოვლინებას ჩვენს ძვირფას ქვეყანაში! მოვესწარით იმ დროს, როდესაც წინა-მორბედნი ჩვენის ქვეყნისა, მართლა რომ წინა-მორბედობას აჩვენებენ, როგორც ჩვენი მამა-პაპების წარსულ—დაკარგულ, მაგრამ დაუვიწყარ დროებაში ყოფილა! მოვესწარით იმ მოვლინების ხილვას, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ქართველში ჯერ კიდევ არ გამშრალა ქართლოსის სისხლი, რომ მასში ჯერ კიდევ არ აღმოფხრულა საყოველთაო სიკეთისადმი მიდრეკილება. მაგალითისათვის შორს ნუ მივდივართ. ჩვენში დაარსდა ამხანაგობა, რომლის მიზანი უკვე მოეხსენება ჩვენ მკითხველებს! დღეს ამ ამხანაგობას, სხვათა შორის, საჩეში აქვს დაარსოს ქალაქ თბილისში ერთი იმ გვარი სასწავლე-

*) თუმცა რედაქცია მთლად არ ეთანხმება პატივ-ცემულს ავტორს, მაგრამ თვით წერილის საგანი იმდენად ღირსშესანიშნავია, რომ საჭირო არის მისი ყოველმხრივი გამოკვლევა. წამოყენებულ საგანზედ არა ერთხელ იქმნება კიდევ მოლაპარაკება «ივერიაში.» (რედ.)

ბელი, სადაც ჩვენი შვილები, ერთი ჭერისა და ერთის ხელის ხელმძღვანელობის ქვეშ, უფრო კარგად, უფრო მკვიდრად, და უფრო იაფად მომზადებულ უნდა იქმნენ გიმნაზიაში და სხვა გვარ სასწავლებელში შესასვლელად. ვის არ გაუხარდება ეს ამბავი? რომელ ქართველ დედ-მამას არ იამება ეს ამბავი, განსაკუთრებით აწინდელ დროში, როდესაც თითო შვილის აღზდა რამოდენიმე ასი მანეთი გვიჯდება წელიწადში, მაგრამ მიზანს მაინც ვერა ვსწვდებით?!....

მაგრამ, რომ ეს სიამოვნება და ეს სიხარული მართლა და საიმედო სიამოვნებათ და საიმედო სიხარულათ შეგვრჩეს, საჭიროა დიდი წინდახედვა ვიხმაროთ ამ საქმეში, საჭიროა სულ დაწვრილებით გამოვიკვლიოთ, შევისწავლოთ და წინათვე მოვიმზადოთ ის გზა და ის მიზანი, რა გზითაც და საითაც უნდა წავიყვანოთ ჩვენი შკოლა. დღეს მე მსურს ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას ჩემი საკუთარი აზრი ამ საგანზედ, მსურს მოვახსენო თუ ჩემის ფიქრით რა შკოლა უნდა იყოს ეს ჩვენი შკოლა, საითკენ უნდა იქმნეს მიდრეკილი და სხვ.

ამ შკოლას, რომელსაც ჩვენი საზოგადოება აპირებს დაარსებას ტფილისში, უწოდოთ ჩვენი შკოლა. ახლა, როგორი უნდა იყოს ეს ჩვენი შკოლა? ნუ თუ ჩვენი შკოლაც ყოველი თვისის მიმართულებით, მოწყობილობით და თვისის სიცოცხლის წარმოებით უნდა იყოს იმ გვარი, როგორებიც არიან მრავალნი სხვა ჩვენი შკოლებიც?! აი კითხვა, რომელსაც ყველაზედ უწინარეს მკვიდრად და ღრმად უნდა დააკვირდეს, როგორც მთლათ ჩვენი ქართველობა, აგრეთვე და განსაკუთრებით თვით შკოლის დამფუძნებელნი.

არა სანუგეშო სურათს წარმოგვიდგენენ ამ ჟამად ჩვენს სამშობლოში მყოფი შკოლები! ვამბობ „არა სანუგეშო,“ რადგანაც არც ერთი მათგანი არ არის დაფუძნებული ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზედ, ასე რომ მათ შორის ვერც ერთს ვერ შეუძლიან გაბედვით უწოდოს თავის თავს «სახალხო შკოლა,» იმ გვარი სახალხო შკოლა, რა გვარიც ძალიან კარგად არის ცნობილი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში. აწინდელი შკოლები მაგიერ ზნეობისა და სხეულის აღზდისა და ჭკუა-გონების გახსნისა, სრულიად ამხობენ და აკერპებენ ჩვენ ნორჩ შვილებს! მართალია, „საზოგადოებამ შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გარდაჰსწყვიტა დაარსოს შკოლა მომეტებულად იმ განზრახვით, რომ საშუალება აღმოუჩინოს ქართველ დედ-მამებს შვილების უფრო მკვიდრად მოსამზადებელად გიმნაზიისათვის, მაგრამ, ვამბობ, ამ ჩვენის შკოლის უმთავრესი აზრი ეს არ უნდა იყოს! ჩვენი შკოლა ყველაზედ უწინარეს უნდა იყოს ნამდვილი სახალხო შკოლა,—შკოლა დამყარებული ნამდვილ პედაგოგიურ მოთხოვნილებაზე ნამდვილად მსგავსი ევროპისა და ამერიკის შკოლისა და არა ის ვიწრო მიმართულების შკოლა, რომელმაც ასე თუ ისე, ხეირიანად თუ უხეიროდ უნდა უსათუოდ მოამზადოს ყმაწვილები გიმნაზიაში თუ სხვა გვარ სასწავლებელში შესასვლელად. ვიმეორებ: ჩვენი შკოლა უნდა იყოს ნამდვილი სახალხო შკოლა, რათა უჩვენოთ ჩვენ შემცდარ ვაჟბატონებს, რომ მხოლოდ ამა და ამ გვარად დაფუძნებულ შკოლებით შეუძლიანთ მათ ხეირი და სარგებლობა მოუტანონ ჩვენს ხალხს!

აი რა უნდა დავამტკიცოთ! მაგრამ, მაინც ჩვენი შკოლა იმოდენა სწავლას, გონების გახსნას და ზნეობის აღზდას უნდა აძლევდეს თავის მოწაფეებს, რომ ყოველთვის მათ უნდა ეპყრათ უპირატესობა გიმნაზიებში და სხვა სახელმწიფო შკოლებში მიღების დროს. აი რა გვარად უნდა იყოს მომართული «ჩვენი შკოლა!» თქმა არ უნდა, რომ ჩვენმა შკოლამ მართლა და სასახელოდ უნდა შეასრულოს ამ გვარი თვისი ერცელი დანიშნულება! თქმა არ უნდა, რომ იგი დაფუძნებული უნდა იყოს, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ნამდვილ პედაგოგიურ მოთხოვნილებაზე... ერთი პედაგოგიური ჭეშმარიტება ამბობს: ახლოდამ, ადვილიდამ—შორეულზე, ძნელზე გადადიო, ე. ი. ჯერ ის ასწავლეთო, რაც ბავშვს უფრო ახლო უდგასო, რაც ყმაწვილისთვის უფრო ადვილიაო, და შემდეგ ნელ-ნელა უფრო და უფრო მოშორებულზე, ძნელზე გადადიო. ეს ჭეშმარიტება ამ ჟამად სრულიად არ

სრულდება არც ერთს ჩვენის სამშობლოის შკოლაში. როგორ ხდება—ეხლავე მოგახსენებთ: ახლოდამ დაადვილიდამ—შორეულზედა ძნელზე გადადით! აბა ერთი მითხარით, უახლოესი და უადვილესი სწავლა (პირველ დაწყებითი მაინც), სხვა რა ენაზე შეიძლება თუ არ სამშობლო ენაზე? მგონია ყველა დარწმუნებით მეტყვის, რომ სამშობლო ენაზე არამც თუ მარტო ძალიან ადვილი იქნებაო სწავლა, არამედ უფრო მარდი, უფრო ნაყოფიერი იქნებაო!

ერთმა გამოჩენილმა და სახელ-განთქმულმა პედაგოგმა (კომენსკიმ) დიდი ხანია წარმოსთქვა შემდეგი ჭეშმარიტება: „Хатѣть учить чужому языку прежде, чѣмъ дитя владѣетъ своимъ, это тоже самое, какъ если-бы заставить мальчика учиться ѣздить верхомъ, прежде чѣмъ онъ умѣетъ ходить!“

მაშ თუ აგრეა, ჩვენ შკოლაში, ყოველი სწავლა უნდა მიდიოდეს სამშობლო ენაზე, იმ სამშოლო ენაზე, რომლის შესწავლითა და შემწეობითა, ჩვენ ძლიერ ადვილათ მივაღწევთ შორეულის, ძნელის (ე. ი. რუსულის ენის) შესწავლასაც და რადგანაც ყველა ნამდვილი სახალხო შკოლა აძლევს თავის მოწაფეებს დასრულებულ სწავლას (законченное образованіе), ამიტომ ადვილათ მისახდომია, თუ რა ვრცელის პროგრამმით უნდა იყოს მომართული, ჩვენ შკოლაში, ქართულს ენაზე სწავლა. ჩვენის შკოლის აუცილებელი მიდრეკილება იქნება—აღზრდა ნორჩი ბავშვებისა რვა წლიდამ მოყოლებული ვიდრე თორმეტ წლამდე და სწავლება ყველა იმისა, რაც საჭირო იქნება კაცის შემდეგ წარმატებისათვის, ე. ი. ჩვენმა შკოლამ უნდა ასწავლოს თვის მოწაფეებს ქართულს ენაზე შემდეგი საგნები:

1. ქართული ლაპარაკი, (რომელიც დიდად საჭიროა ამ დროში, როდესაც ქართული ლაპარაკი ჩვენში საშინლად დაეცა და გაირყვნა.)

2. ქართული წერა-კითხვა და ღრამმატიკა.

3. სამშობლოს ცნობა (родиновѣдѣніе) (ბუნებისა და ისტორიისა).

4. სამღვრთო წერილი.

5. არითმეტიკა.

6. გეომეტრია.

7. გალობა.

8. გიმნასტიკა და სხვა და სხვა თამაშობანი.

9. ზოგიერთი ხელობანი (ვსთქვათ მებაღობა).

10. რუსული ლაპარაკი.

11. რუსული წერა-კითხვა და ღრამატიკა.

12 რუსულს ენაზე არითმეტიკა და სამღვრთო წერილი.

აი რამდენი რა უნდა ასწავლოს ჩვენმა შკოლამ თვის მოწაფეებს ოთხის წლის განმავლობაში. მართალია მცირეა ეს ჴვადა, მაგრამ მოვეხსენებათ ორი სწავლული, რომელთა შორის ერთმა უთხრა მეორეს: „ბუნებამ მეტი და ხანგრძლივი სიცოცხლე მიჰსცა ირმებსა, ყვავებსა და სხვა უგონო ქმნილებებსაო და ადამიანს კი, ამ უმაღლესს არსებას, რომლის დანიშნულება ამისთანა მაღალი და კეთილშობილურია, მიანიჭა აგრეთი მოკლე სიცოცხლეო!“ მეორემ უპასუხა: „არაო, კაცის სიცოცხლე საკმაოდ გრძელიაო და სამყოფი, რომ მან კარგათ შეისწავლოს და გამოიყენოს კიდეც უდიდესი მეცნიერებანი, ოღონდ კი გონივრულად და ხეირიანად მოჰკიდოს მათ ხელიო“, და მაგალითად ჩამოუთვალა მრავალნი გამოჩენილნი სწავლულნი, რომელთაც ოცდა ათი, ორმოცი წელიწადიც არ უცოცხლიათ, მაგრამ მათი ჰსწავლა და საქმე ყველას გაჰკვირვებია.

აგრეთვე ჩვენი შკოლა: ამ ოთხ წელშიაც კარგა ბლომათ საქმეებს გაარიგებს, მხოლოდ კარგა გონივრულად კი წავიყვანოთ ყოველი მისი საქმე.

ჩვენის შკოლის დროშაზედ ყოველთვის წარწერილი უნდა იყოს შემდეგი: **„ყველაფერში თავისუფლობა და არაფერში მალ-დატანება!“** აწინდელი შკოლები დახშულნი არიან ათასგვარ შევიწროებით, დაბრკოლებებით და შეცდომით და ამიტომ მხოლოდ უწარჩინებულესნი ნიჭნი (ისიც დიდის ვაი-ვაგლახით და ტანჯვით), იკაფვენ გონების გახსნისათვის გზას და ესწრებიან კიდეც რამოდენიმე კაცურს განათლებას. მომეტებული კი, ქვეყნის უსარგებლოდ და საზარალოდ იკარგება ამ წუთის სოფლის შეცდომებში. მაშ თუ აგრეა, რა ვქნათ,

რა უყოთ, რა გზას დავადგეთ, რომელს ერთს სახსარს მივმართოთ, რომ ჩვენ შკოლაში საქმე წესიერად წავიდეს? აქ ერთად ერთი სახსარი დაგვრჩომია: პირდაპირ და უშიშრად გავყვეთ იმ გზას, რა გზასაც გვასწავლიან ჩვენ ზემოთ მოყვანილნი სიტყვები—„ყველაფერში თავისუფლობა და არაფერში ძალდატანება“, ე. ი. ავღზარდოთ ჩვენი შვილები, ისე როგორც მოითხოვს ამას საზოგადოთ ადამიანის ბუნება, ნუ დავბრეცავთ მის მოთხოვნილებას, ყველაფერში დავეკითხოთ ხოლმე იმას და სხვა.... ამ ჟამად, რისთვისაც საკმაო იქნებოდა ერთის წლის სწავლა, იმისთვის ჩვენი შკოლები ჰკარგვენ ოთხს ხუთს და ზოგჯერ მეტ წელსაც. რაც ადვილად და თავისუფლად უნდა შეისწავლებოდეს, შეითვისებოდეს და ჩაინერგებოდეს, იმას ყველაფერს ამ ჟამად უნერგავენ საშინელის ძალდატანებით! ავიღოთ მაგალითად თუნდ რუსული ენის შესწავლა..... ღმერთო, რას არ იგონებენ, რა ხარჯს არა სწევენ, რომ როგორმე წინ წასწიონ ეს სასწავლო საგანი ჩვენ შკოლებში, მაგრამ სულ ამაოდ! უკანასკნელი მეფაიტონეები, მედუქნეები და კინტოები, ათჯერ და ასჯერ უფრო ადვილათ სწავლობენ ამ ენას ერთ ოთხიოდე თვის განმავლობაში, ვიდრე ჩვენი შკოლების მოწაფენი, რომელნიც დღეში ხუთ საათამდის მხოლოდ იმაზე დგანან, იმაზე ზრუნვენ, იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე შეისწავლონ რუსული ენა, მაგრამ მაინც ამაოდ და ამაოდ! რა მიზეზია? მიზეზი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი შკოლები არ მიჰსდევენ ზემო მოყვანილ სიტყვებს. რათ ჩქარობენ, რატომ არ გაიგებენ, რომ ბავშვის ბუნება ვერ აიტანს ამ გვარ უდროვო და მის ბუნების წინაალმდეგ მოთხოვნილებას?! რატომ არ გაიგებენ, რომ ძალდატანება აქ ვერასა იქს, რომ აქ საჭიროა უფრო თავისუფალი, უფრო ადამიანის ბუნების შესაფერი მოქმედება?! ტყუილად კი არ ჰსთქვა ერთმა გამოჩენილმა კაცმა (ციცერონმა): „თუ ჩვენ კვალ და კვალ გავყვებით ბუნებასა, არასოდეს არ შევცდებითო!“

მაშ ჩვენი შკოლა უნდა უშიშრად აჰყვეს ზემოხსენებულს სიტყვებს და ყველაფერი კარგად გამოვა. ამ სიტყვების ძალით ჩვენმა შკოლამ უნდა ასწავლოს ყველაფერი, რაც ადამიანსა ჰხდის ნამდვილ ადამიანად, რაც ადამიანს აძლევს ცოდნას, განათლებას, პატიოსნებას, სიმართლეს და სხვ.... ჩვენ შკოლაში სწავლა და აღზრდა უნდა მიდიოდეს არა ძალდატანებით და სხვა სასტიკ სახსრების შემწეობით, არამედ, რამდენადაც შესაძლო იქნება, ადვილად და ბავშვისათვის საამურად. როგორც ყოველი არსება დიდდება, იზრდება არა ძალდატანებითი გაწევ-გამოწევით, არამედ თავისუფალის მოძრაობით, კვებით, ეგრეთვე ადამიანის სული და ჭკუა-გონება იწვრთნება და შედის წარმატებაში მხოლოდ თავისუფალის სწავლით.

რადგანაც ყველა ზემოხსენებული დამოკიდებულია ჩვენის შკოლის მოწყობილობაზედ, სასწავლ საგნებზე, მათ შინაარსზე და გარდაცემის მეთოდებზე, სახელმძღვანელოებზე და სხვა სახსრებზე, რომლებსაც იგი შეიტანს და იხმარებს თვის მოქმედებაში, ამიტომ აქ ძლიერ კარგი იქნებოდა შევსულიყავით ამ საგნის გამოკვლევაშიაც, მაგრამ ეს შემდეგისათვის, უფრო მოხერხებული დროისათვის გადავსდვათ!

13 მკათათვეს, 1878 წ. ვანო.

ტაციტის ცნობა საქართველოზე.

ჩვენ მოვიხსენეთ სტრაბონი და ტაციტი, რომელთაც ჩვენ მხარეზე საკუთარი ცნობები გადმოუციათ. ვინ იყო სტრაბონი, რა გვარი ცნობები დაგვიტევა იმან კავკაზზე და კავკაზიელებზე, იმათ შორის თვით საქართველოზე, ამაზე ჩვენ ზემოდ გვქონდა ვრცელი საუბარი. ტაციტი იყო სტრაბონის თანა-მედროე. ორნივე იგინი არიან ძველის დროების განვითარებულნი მწერალნი: სტრაბონი უკეთესი გეოგრაფი, ტაციტი უკეთესი ისტორიკოსი, უკეთესი არა თუ რომის ისტორიკოსებში, არამედ თვით მსოფლიო წელთა-მწერლების გუნდში. ის არის მაღლად-მინიჭებული, ღრმად-განმხილველი, შემასწავებელი წარმომადგენელი სურათებისა, პირ-უთნელი და მკაცრი მსაჯული რომის ტირანიისა, ჭეშმარიტი მოუბარი, ყოვლის კეთილ-მოქმედების თანა-მგრძნობელი. ტაციტი მოგვითხრობს რაც იმას თვალით უნახავს ან

რაც თანა-მედროეთ იმისთვის უამბნიათ. ტაციტს უწერია ბევრი, მაგრამ მომატებული ნაწილი იმის მწერლობისა დაკარგულა. უკეთესი იმისი შრომა არის 15 წიგნად დაყოფილი «წელთ-აღწერა,» ავგისტო კეისრის სიკვდილიდამ (14 წელს ქრ. წინად) იმპერატორის ნერონის სიკვდილამდე (54 წ. ქრ. შემდეგ), თუმცა ამ «წელთ-აღწერასაც» სრულად არ მოუღწევია ჩვენ დრომდე. აქ არა ვპოულობთ აღწერას არც კალიგულის მეფობისას არც კლავდის მეფობის დასაწყისისას. ტაციტი სხვათა შორის დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ რა დამოკიდებულობა ჰქონდა რომს ტიბერისას, კლავდისას და ნერონისას პარფიასთან, სომხეთთან და იბერიასთან. ჩვენ თავის ადგილს მოვიხსენეთ, როგორ გაძლიერებულა პარფია არშაკიდების მეფობაში და როგორ დაუჭერია იმას სომხეთი. პონტის მეფის მიტრიდატ მეექვსის შემდეგ უეჭველი იყო რომაელების შებრძოლება პარფიელებთან მცირე-აზიაში, ანუ უკეთ ვთქვათ, სომხეთში; უეჭველი იყო ამისთვის, რომ პარფიელები დაბრკოლებას აძლევდნენ იმათ გავრცელებას აღმოსავლეთზე. ტაციტის «წელთ-აღწერა» ტიბერის დროდამ ვიდრე მომატებულ ნაწილამდე ნერონის დროისა შეიცავს რომაელების ბრძოლას პარფიელებთან. მთელი ეს დრო სომხეთის მეფენი და იბერიის მეფენი გამოჩენით მოქმედებენ სცენაზე. იბერთ მეფე ფარსმანი, იმისი ძმა მიტრიდატი, ფარსმანის შვილი როდომისტი დიდ ცნობილნი არიან ტაციტის მხატრობაში. პარფიის მეფე არტაბაგი, ტიბერის დროს, ეპატრონება სომხეთს და სომხეთის მეფედ აღიარებს თავის შვილს ოროდესს. ტიბერი ჰნიშნავს იმის მოცილედ არშაკიდებისავე წევრს ტირიდატს და სომხეთის განმგედ მოიწვევს იბერიის მეფის ფარსმანის ძმას მიტრიდატს. მიტრიდატი ფარსმანს შემწეობას მოსთხოვს. იბერიელნი დაესხმიან სომხეთს და აიღებენ იმის დედა-ქალაქს არტაქსატას. არტაბანი ოროდეს ბძანებლობას ქვეშ შემოჰკრებს თავის ჯარებს და ისტუმრებს იმათ სომხეთისკენ. ფარსმანი თავის მხრით მოიწვევს ალბანელებს და სარმატებს, თუმცა იმათში სკეპტუსნი ჩვეულებისამებრ დასჩუქრებულნი, შემწეობას აღუთქმენ ერთს მხარესაც და მეორესაც. «იბერიელნი ჰფლობდნენ, იტყვის ტაციტი, ადგილ-მამულს და რადგანაც ამისგამო იყვნენ ძლიერნი, ამისთვის სარმატებს გზას აძლევდნენ; სარმატები დიდის სისწრაფით გაივლიან კასპიის კარს[1] და დაესხმიან სომხეთს. ის სარმატნი, რომელნიც პარფიელებს ჰშველოდნენ, იძულებულ-იყვნენ უკუ-ქცეულიყვნენ, რადგანაც მტერს ხელთ-ეჭირა ყველა გასავლები ერთის გარდა, რომელიც ალბანიის უკიდურეს მთებს შორის მდებარებდა და რომელიც დროის გამო მიუკარებელი იყო: ზღვის ქარი ჰფარავს იმას ზაფხულში წყლით, და მხოლოდ ზამთარში სამხრეთის ქარი ჰფანტავს წყალს და ვითომც ზღვას უკუ-აქცევს და აშიშვლებს დედა-მიწას...» «ყოველივე პარფიელების ძალა მდგომარეობდა ცხენოსან მხედრობაში. ფარსმანს ქვეითი ჯარიც ჰყვანდა. იბერნი და ალბანნი ცხოვრობენ ტყიან ადგილებში, ამისთვის ისინი შეჩვეულნი არიან შრომას და მოთმინებას. ისინი ჰხადიან თავიანთ თავს ფესალიელთ შთამომავლობად და იტყვიან, ვითომც როდესაც იაზონმა მოიტაცა მედეა და ეყოლა იმას შვილები, მედეის მამის აეტის სიკვდილის შემდეგ ის მოვიდა კოლხიდას და აქ გაუქმებულ ტახტზე დაჯდა. აქ მრავალი ადგილი ჰმოწმობს აეტის სახელს და ფრიქსის საწინასწარ-მეტყველოს[2]. აქ ხალხს დიდი პატივისცემა აქვს იმათი. აქ ვერავინ ჰბედავს მსხვერპლის შეწირვას ვერძისას, რადგანაც ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ფრიქსი ვერძით მოგზაურობდა. მებრძოლნი წარმოადგენენ სხვა და სხვა გვარ სახილველს, პარფიელნი ჩვეულებრივის ხელოვნობით უკუ-იქცევიან, დაესხმიან მტერს, ჰგლეჯენ წყობას და ეძებენ საკვეთ ადგილს. სარმატები სტოვებენ მშვილდს, რომელსაც იშვიათად ხმარობდნენ, და თავ-დაესხმიან ხელ-შუბით და მახვილით. პარფიელების მხარეს ცხენოსანნი, ხან უკუ-ივლტვიან, ხან შეეჯახებიან. მოწინააღმდეგენი შეადგენენ შეჯგუფულ წყობებს, რომელნიც გვამის და იარაღის სიმძიმით ხან მტერს უკუ-აქცევენ, ხან თვით ივლტვიან. ალბანნი და იბერნი ხელით ჰბოჭვენ პარფიელებს, და ჩამოჰყრიან ცხენებით. ფარსმანი და ოროდი, ხან არიან იმათთან ვინც უფრო გაბედვით იბრძვის, ხან მიივლტვიან იქ, სადაც ძალა ირყევა. ბოლოს ერთი მეორეს შეჰნიშნავს. ასტყდება მკაცრი არეულობა, ხმაურება, მშვილდისრის სროლა, მხედართ კვეთება. ფარსმანი გულ-ფიც-

---

[1] უნდა იყოს კავკაზისას Porta Caucasica. Прибавленіе къ газ. «Кавказъ» 1868 г., примѣч. къ стр. 8.

[2] ითქმის ტაძარზე.

ხად იბრძვის, თავის მოწინააღმდეგეს გაუპობს ჩაჩქანს და დაჭრავს. ფარასმანი მოიგებს ომს.“ პართიელნი დასტოვებენ სომხეთს, რომელსაც დაიჭერენ რომაელნი[1].

კლავდის (41—54 ქრ. შემდეგ) ტაციტი გვიამბობს სომხებთან იბერიელების ბრძოლას, რომელმაც შემთხვევა მისცა რომაელების შეჯახებას პართიელებთან. ამ დროს პართიას განაგებდა ვოლოგეზი; იბერიას ჰფლობდა დიდის ხნით ფარასმანი; სომხეთს კი—ფარასმანის ძმა მიტრიდატი, რომელიც აქ ტახტზე თვით რომაელებს დაესვათ. ფარასმანს ჰყვანდა შვილი სახელად რადამისტი, ტანად დიად წარმოსადეგი, ღონით განსხვავებული და გასაოცარი მარდი ყოველ ხელოვნებაში, რომელიც იმის ქვეყანას შეჰფერის, რადამისტი დიდის მრისხანებით უჩიოდა თავის მამას, რომ ის მოხუცებულობის გამო ვეღარ განაგებსო იბერიის სამეფოს. ცხადი იყო რასაც ჰნიშნავდა იმისი დრტვინვა. ფარასმანი შიშით უმზერდა ყმაწვილ-კაცს, იმის გამბედაობას და იმის ძალას. თვით იმისნი ქვეშე-ვრდომნი ჰგრძნობდნენ მიდრეკილობას რადამისტისადმი. ფარასმანმა ჩაჰნერგა იმას სხვა იმედი: იმის ყურადღება და სურვილი მიაქცია სომხეთზე. ამასთანავე იმან მოაგონა რადამისტს, რომ „პართიელების განდევნის შემდეგ იქ მეფედ დავსვით მიტრიდატი; მაგრამ ძალას იმასთან ნუ მოიხმარებო და ჯერ ხერხი მოიქმედეო.» რადამისტი საქმეს შეუდგება; ის მივა მიტრიდატთან და უჩვენებს იმას სახეს, ვითომც ის დედი-ნაცვლის გამო მამასთან უკმაყოფილოდ არის. მიტრიდატი იმას შეიწყნარებს ალერსით, როგორც შვილს. რადამისტი აღელვებს და ჰმლის სომხეთის მთავრებს. მიტრიდატი მაინც არ ეჭვნეულობს და ქველის-მოქმედებას მიაგებს თავის ძმის-წულს.

რადამისტი დაბრუნდება მამასთან. «რაც კი ხერხით შესაძლებელი იყო, ყოველივე მოვიქმედეო, ეტყვის მამას, დანაშთენი ძალით უნდა დავასრულოთო.» ფარასმანი ეძებს ბრძოლის მიზეზს. «როდესაც მე ვებრძოდიო ალბანიის მეფეს, მაშინ მე მოვითხოვეო რომაელებისაგან შეწევნა, მაგრამ იმის დამაბრკოლებელ მიზეზად ჩემი ძმავე აღმოჩნდაო, და ამისთვის იმას ზღვევა უნდა მივაგოო.» შეჰკრებს მრავალ-ძალ ჯარს, რომელსაც მიანდობს რადამისტს. რადამისტი უცებ დაეცემა სომხეთს და შეამწყვდევს მიტრიდატს გორნეის სიმაგრეში, სადაც რომაელების გარნიზონის უფროსად იყო პრეფექტი ცელი პოლლიონი და ასის-თავად კასპერი.... რომაელების შემწეობით რადამისტი და მიტრიდატი დაზავდებიან და კასპერი გაემგზავრება სირიაში, რომ სირიის უფროსს კვადრატის აცნობოს სომხეთის გარემოება. პოლლიონი მოიხმარებს შუა-მდგომელობას ძმასა და ძმის-წულს შორის. «ძმები ერთ-მანეთში ძმურად უნდა ცხოვრობდნენო; ფარასმანს, როგორც უხუცესს მომატებული პატივი შეჰფერისო; ამასთანავე სხვა გვარი ნათესავური კავშირიც არისო თქვენში: მიტრიდატს ჰყავსო ცოლად ფარასმანის ქალი და თვით მიტრიდატი რადამისტის სიმამრი არისო....» მიტრიდატი ეჭვით მოისმენს პრეფექტის რჩევას, რადგანაც იმას ახსოვდა პოლლიონისაგან თავის-თავის გაპატიურება იმის ხასიათთან მეძაობით და დარწმუნებული იყო, რომ პოლლიონს ყოველფერს აკადრებინებდა შესყიდვა.... კასპერი დაბრუნდება და ფარასმანს მოსთხოვს, რომ იმან ციხის იერიში ახსნას. ფარასმანს სწორე პასუხს არ მისცემს და იდუმალ აცნობებს რადამისტს, რომ რითაც იქნებოდეს მსწრაფლ დაასრულოს საქმე. მიტრიდატს დაიყოლიებენ და დაანიშვნინებენ დღეს და ადგილს პირობის—შეკრულობისათვის; ამის გამო ის სიმაგრიდამ გამოვა.»

«თავდა-პირველად რადამისტი მიტრიდატს მიეხვევა, მოწიწებით ერთგულობას განუცხადებს, სახელ-უწოდს იმას სიმამრად და მამად, შეჰფიცავს, რომ არც მახვილით, არც მოწამვლით არ შეეხება იმის სიცოცხლეს. ამასთანავე შეიტყუებს იმას ახლო-მდებარე ტყეში, რადგანაც «მე შევამზადებინეო სამსხვერპლო და მსურსო, რომ თვით ღმერთნი იყვნენო ჩვენის შეკრულობის მოწამენი. მეფეებს ჩვეულებად აქვთ, როდესაც ისინი ერთი მეორეს შეეკვრიან კავშირით, მაშინ ერთი მეორეს მარჯვენა ხელს შეუწნავს და ცერებს მაგარის ნასკვით შეუნასკვავს; და როდესაც თითები სისხლით გაემსებს, მაშინ იმათ მსუბუქად დასჩხვლეტს, გამოიდენს სისხლს და იმას გამოსწოვს. ამ გვარად დასკვნილი კავშირი მიაჩნიათ საიდუმლო კავშირად, ურთი-ერთის სისხლით განწმედილ კავშირად.. ამ დროს ის, რომელმაც ეს კავში-

[1] Tacite, Oeuvres completes, traduction de Ch. Louandre, Paris, 1872, t. I, lire VI, p. 321—324.

რი წინა-დაუდვა, განგებ დაეცა, სტაცა ხელი ფეხზე მიტრიდატს და წაიქცია ისა. შემოჰკრიბა ხალხი; მიტრიდატი შეჰბორკილეს და გაიყვანეს. დაბალი ხალხი, რომელსაც ის სასტიკად ეპყრობოდა, ჰკიცხავდა იმას და სცემდა; იყვნენ ისეთნიც, რომელთაც გული შესტკიოდათ იმისთვის. თან მისდევდნენ მიტრიდატს გოდებით ცოლი და მცირე-წლოვანნი შვილნი. ჩასხეს ისინი სხვა და სხვა ურმებში და ელოდნენ ფარასმანისგან ბძანებას.... რადგანაც რადამისტს ახსოვდა თავისი ფიცი, იმან ააცილა თავის ბიძას და დას სიკვდილი მახვილით და საწამლავით, მაგრამ დასცა ისინი მიწაზე და დაახრჩო ტან-საცმელით, რომელიც იმათ დააყარეს ზემოდამ. თვით მიტრიდატის შვილებიც დახოცეს.»

«კვადრატმა შეიტყო ეს ამბავი და რჩევა მოახდინა იზღვიოს მიტრიდატის სიკვდილი თუ არა. დასდეს, რომ ფარასმანს მოსთხოვონ გასვლა სომხეთის საზღვრებიდამ და გაყვანა შვილისა... ამ დროს კაპპადოკიაში იმყოფებოდა პროკურატორი იული ფელინგი, დაბალი სულით და საძულველი ხასიათით. რადამისტმა მოიმხრო ფელინგი, რომლის რჩევითაც იმან დაიდგა გვირგვინი. ხალხი აღელდა. ვოლოგეზმა ისარგებლა ამ შემთხვევით და დაეცა სომხეთს. იმას ჰსურდა თავისი ძმა თირიდატი ტახტზე დაესვა. შემოვიდნენ თუ არა პარფიელნი, იბერნი უბრძოლოდ განივლტვნენ. სომხეთის ქალაქები არტაქსატა და ტიგრანოქსატა იმათ დაჰმორჩილდნენ. თუმცა მკაცრმა ზამთარმა პარფიელნი განდევნა და რადამისტმა კვლავ დაიჭირა სომხეთი, მაგრამ ხალხი მოთმინებიდამ გამოსული აიშალა და შემოერტყა სასახლეს. რადამისტი ცოლითურთ საჩქაროდ გაეშურა ცხენებით. ცოლი ორ-სულად იყო და ჯერ ქმრის სიყვარულით და დევნის შიშით ცხენის სირბილს ითმენდა. შემდეგ, როდესაც ის უსაზღვროდ შეწუხდა და მოთმინებიდამ გამოვიდა, იმან ქმრის ხელით სიკვდილი ირჩია დატყვევებას. რადამისტი განცვიფრებული, შერყეული, ხან ეხვევა და ამხნევებს ცოლს, ხან შიშობს, რომ არ შეიგვიანონ და მტერს ტყვედ არ მიეცნენ. ბოლოს სიყვარულით იძულებული და ბოროტ-მოქმედებაში გავარჯიშებული დასცემს იმას მახვილს, შემდეგ წაიღებს და არაქსის მდინარეში ჩააგდებს, რომ მკვდარიც არავის ერგოსო. თვითონ აჩქარებით შევა მამის სამფლობელოში, ამ დროს ზენობიას, ასე ერქვა დედოფალს — მდინარენაპირად გამოაგდებს. ჯერ იმას ფშვინვა არ დაჰკარგვია და სიცოცხლის ნიშანი ისევ აქვს. გვამს შეჰნიშნავენ მეცხვარენი; იმის კეთილ-შობილის შეხედულობით იგრძნობენ, რომ ზენობია არ იყო მდაბიოთაგანი. შეუხვევენ წყლულს და თავიანთებურად წამლობას დაუწყობენ. როდესაც სცნობენ, ვინც იყო ისა, წაიყვანენ არტაქსატაში და აქედამ საზოგადო ხარჯით გაამგზავრებენ თირიდატთან, რომელიც იმას მიიღებს ისეთის პატივით, როგორიც დედოფალს შეჰფერის [1].»

ამით ტაციტი არ ასრულებს ფარასმანის დამოკიდებულობას რომაელებთან. ნერონის დროს (54—81 წ. ქრ. შემდეგ) იმათ კიდევ ებრძვის ვოლოგეზი. ამ ბრძოლაში ისახელებს რომის ჯარის წინამძღომელი დომიცი კორბულონი, რომელიც არტაქსატას სრულებით იღებს და დასწვავს. აქ ფარასმანს კიდევ შევხვდებით იბერიელებითურთ. ტაციტის სიტყვით, ფარასმანი მოჰკვეთს თავს რადამისტს, ვითომც სიმუხთლის გამო და განუცხადებს რომაელებს თავის ერთგულობას. აღძრული მკაცრის სიძულილით სომხებისადმი და დიდის მძვინვარებით ებრძვის იმათ [2]. როდესაც არტაქსატის იერიშის დროს სომხები შეეხიზნებიან მთებში და მთის ხეობაებში თავიანთის ქონებით და აქედამ დაესხმიან რომაელებს, მაშინ კორბულონი იმათ მიუსევს იბერიელთ, რომელნიც თვით მთებში და ხეობაებში იმათ აოხრებენ. როდესაც კორბულონი სომხეთს დაუმონავებს ნერონს, ნერონი გამგეობას სომხეთის ნაწილისას მიანდობს ფარასმანს, არისტობულს, პოლემონს და ანტიოქს [1].....

აი რა გვარი იყო, ტაციტის ცნობით, იბერიის დამოკიდებულობა რომაელებთან. ტაციტი ისეთის დაწვრილებით გადმოგვცემს თავის ნაამბობს, რომ არ შეგვიძლიან უარ-ვჰყოთ ისა. ამ თქმულებას ემოწმება ძველი წარწერა ბერძნულის ენით ქვაზე, რომელიც 1867 წელს, მცხეთის მახლობლად იპოვნეს და რომელიც ქრისტეს შემდეგ 75 წელს ეკუთვნის. თუმც ეს წარწერა არის

---

[1] Tacite, t. I, livre XII, 409—416.
[2] Ibid., 461—462.
[1] Tacite, t. I, livr. XIV, 504—507.

შემდეგის დროისა და არა იმ დროისა, რომელსაც აგვიწერს ტაციტი, მაგრამ ის ცხადად ამტკიცებს იბერიის კავშირს რომთან. აქ არის მოხსენებული ვესპასიანე იმპერატორის დროს (მეფობდა 69—79 წ.) «მეფე იბერთა მიტრიდატი, ფარასმანისა და იამაზდის შვილი, მეგობარი კეისრისა და რომის ხალხისა, რომლისთვისაც (მიტრიდატისთვის) რომაელებმა ააშენეს ციხე.» როგორც სჩანს, ეს ქვა ჩასმული ყოფილა ციხეში, რომლის კვალიც თითქმის აღარ არის. ეს ღირს-სახსოვარი ქვა ახლა თბილისის მუზეუმშია დაცული [2]; იმისი წარწერა არის უძველესი ყველა წარწერებში, რომელნიც კი საქართველოში იპოებიან. ის გვიმტკიცებს, რომ ფარასმანის შვილსაც იგივე კავშ..რი დაუცავს რომაელებთან, რომელიც ეპყრა თვით ფარასმანს. ის კიდევ არაფერი, რომ რასაც ტაციტი გვიამბობს, იმას ქართლის-ცხოვრება არ იხსენიებს; ამ გვარი შემთხვევა პირველი არ არის. ქართლის-ცხოვრება არ უჩვენებს, მაგალითად, არც მიტრიდატ-დიდის ბრძოლას რომაელებთან, არც შემდეგ ლაზიკაში სპარსებთან ვიზანტიელების დიდს ომიანობას, რომელმაც საუკუნეზე მეტი გასწია (454—560 წ.), მაგრამ მიტრიდატის დროს ქართლის-ცხოვრების არტაგი სრულებით ეთანხმება რომაელების არტაგოსს, და თვით ლაზიკის ბრძოლა რომ შეუთანასწოროთ ქართლის-ცხოვრებას, წინააღმდეგს აქ ვერას ვპოებთ. ტაციტის ფაქტი კი თითქმის არც ერთი არ უთანასწორდება ჩვენს მატიანეს. აქ არ იხსენებიან არც ფარასმანი, არც მიტრიდატი, იმისი ძმა და შემდეგ შვილი, არც რადამისტი. მართალია, ფარსმანი და მირდატი არიან ნაჩვენები, მაგალ., ფარსმანი და კაოსი 72—87 წელს [3], ფარსმანი მე-II და მირდატი I 113—129 წელს [4], მაგრამ არც ერთს იმათგანს არ ეთანხმებიან ტაციტის მოქმედნი პირნი. თვით ის დამოკიდებულობა საქართველოსი სომხებთან, რომელსაც გამოგვიხატავს: ტაციტი, სრულებით ეწინააღმდეგება წარმოდგენას ქართლის-ცხოვრებისას და სომხეთის ისტორიისას: ტაციტის სიტყვით, სომხეთი დიდად შესუსტებული სამეფო იყო; ის ეჭირა ქართველ მეფეს ფარასმანის ძმას; ერთ დროს აქვე მეფობდა ფარასმანის შვილი თვით მამისაგან მეფედ დამჯდარი. ქართლის-ცხოვრების თქმით და სომხის მატიანეს ჩვენებით კი ამ დროს სომხეთი იყო გაძლიერებული სამეფო; სომხეთის მეფეებმა თვით საქართველოს სამხრეთის საზღვრებიც ჩამოართვეს ქართველთ მეფეებს.

[2] Прибавленіе къ „Кавказу“ 1868 г. стр. 1—4, 16.

[3] Hist. de la Géor. I, 64.

[4] Ibid., 71.

ურწმუნო დიეგო

ერთი ხანა კარლისტების აჯანყებისა.

(დასასრული *)

IV.

მას შემდეგ, რაკი ანტონიომ ნახა თავისი მეგობარი დიეგო, სამი დღე კიდევ გამოვიდა და კარლისტები ჯერ არ შემოსულიყვნენ ქალაქში. მაინც კიდევ დიეგომ კარგათ მოიხმარა ეს დრო: გაგზავნა წიგნი მახლობელ ქალაქის გუბენატორთან და აცნობა აქაური ამბავი, აცოდინა, რომ აქ მდგომი ჯარი მეტად ცოტაა, სულ ორასი კაციაო. გუბერნატორი, ანუ უფრო სწორედ, იმისი სეკრეტარი სწერდა დიეგოს პასუხათ: შენი შიში უსაფუძვლოაო, ამიტომ რომ, თქვენის ქალაქის ალკალდი, სინიორ-პონგო, თავდებობსო, რომ მთელი ქალაქის მცხოვრებელნი, ხელმწიფის ერთგულნი და ქვეშევრდომნი არიანო. ამავე ფოშტით მიიღო სენიორ-პონგომ წიგნი გუბერნატორის სეკრეტრიდგან, რომელშიაც ამას ჰკითხავდნენ, თუ როგორი კაციაო სენიორ გერდაო, რომელიც დაუკითხავათ სხვის საქმეში ერევაო. რადგანაც დიეგო მაბეზღრობას აშორებული იყო და არც უნდოდა სენიორ-პონგოს დალუპვა, სხვა აღარ ამოიღო და სეკრეტრის პასუხს დასჯერდა — ეს კი შეიტყო ამით, რომ სხვაზედ იმედი არა იყო რა და მარტო თავის-თავის ანაბარას უნდა დარჩომილიყო.

ამ სამ დღეში დიეგოს ადელინა არ უნახავს. სანახავად კი იყო, მაგრამ არ მიიღეს. სენიორა-გიერომ გადაწყვიტა, რომ ამათში არავითარი მსვლელობა აღარ ყოფილიყო, ვიდრე კარლისტების არეულობის ამბავი არ გადაჰსწყდებოდა. თუ კარლისტები გაიმარჯვებდნენ, თავის-თავის მადლობელი დარჩებოდა, რომ

*) «ივერია» №№ 25, 26, 28. 1878 წ.

დიეგო არ მიიღო; და თუ დამარცხდებოდნენ, მაშინ სიხარულით მიიკრავდა გულზე თავის დიდიხნის ამორჩეულ სასიძოს. რაც კი შეეხება სამღვდელოებას, უეჭველია, თუ კარლისტები დამარცხდებოდნენ, ისინი ხმას ჩაიწყვეტდნენ და იქნება დონ-დიეგო იმათი სადიდებელიც გამხდარიყო.

ამის გამო დიეგო ჯერ-ჯერობით სახლში აღარ მიიღო. ის დიდხანს დადიოდა ადელინას ფანჯრებთან, აბრახუნებდა ფეხებს, ახველებდა, მაგრამ სულ ტყუილათ ჩაუარა: არამც თუ კარი, ფანჯარაც არავინ გაუღო. მაშინ დიეგომ შეისყიდა ერთი იმათი გოგო და იმის ხელით გადასცა წიგნი ადელინას. მეორე დილაზე ამ წიგნის პასუხად კარანდაშით დაწერილი მარტო ეს მოუვიდა: „ღმერთმა გიხსნას და დაგიფაროს." ეს წიგნი დიეგომ სწორეთ კარლისტების აჯანყების ერთი საათის წინეთ მიიღო. ბრწყინვალე ბურბონის მომხრენი სან-ამარ-დელოს-დებლანში, ნიშნათ აჯანყებისა, დონ-კარლოსის სამზღვარზე მოსვლას ელოდნენ. ბოლოს მოვიდა ტელეგრამმა დონ-კარლოსი ისპანიაში შემოვიდაო და გამარჯვებულმა აიღო ერთი სოფელიო, რომელშიაც სამასი ომლი მცხოვრებიაო. ამის გაგონების შემდეგ ერთმა საათმა ძლივს გაიარა, რომ რამდენიმე მუშამ და მოქალაქეებმა მამა მალალიასის წინამძღოლობით ჩამოიარეს შუა ქალაქის ქუჩაში, პოლიციაში მოსამსახურეებს წაართვეს იარაღი, გააქციეს მეციხოვნენი, რომლებსაც იმათ მხარეზე გადასვლა არ უნდოდათ (50 კაცამდინ 200-გან) დიდის აღტაცებით გალობდნენ საომარს სიმღერებსა. ეს გუნდი გაღონიერებული სალდათებით, რომლებმაც უღალატეს სახელმწიფოს და ამათი მხარე დაიჭირეს, წავიდნენ რატუშისკენ და ხალხის საჩვენებლათ, ვითომ მალდატანებით დაითხოვეს ქალაქის ალკადი და მმართველობის წევრნი, რომელნიც დიდის გულდამშვიდებით წავიდნენ თავ-თავის სახლებში. ამის შემდეგ, როდესაც აჯანყებულებმა დაინახეს, რომ მრავლობით ქალაქის მცხოვრებნი ამათ მხარეზე არიან, მეორეთ გაიარეს ქალაქის ქუჩებზე დიდის ამბითა და ხმა-მაღლივ ყვიროდნენ „გაუმარჯოს დონ-კარლოსსაო! სიკვდილი ამედეისაო!" აქა იქ დაურჩევს თეთრი ბაირაღები და დაიწყეს პურითა და ღვინით ხარჯის მოკრეფა. აქ მამა მალალიასს მოაგონდა, (თუმცა კი სწორეთ, რომ ვსთქვათ, იმას ეს აზრი ერთ წამსაც არ დავიწყებია,) თავისი მეგობარი დიეგო გერდა.

დიეგო დარწმუნდა იმაში, რომ იმას ექმნება საქმე ძლიერს მტრებთან. მოიხმო თავისი ინგლისელნი და საფრანგეთელნი მუშები და აუხსნა თუ რა მდგომარეობაში არიან. პატრები თხოულობენო თქვენს დათხოვნას, და თუ გსურთ, ეხლავე გაიქეცით აქედამ და ამით თავები დაიხსენითო, თუ არა მზად იყავით მხნეთ დახვდეთ მტერსა თქვენის თავის დასაცველადაო. ინგლისელებმა ამაზე უპასუხეს, რომ ჩვენ ეხლავე მსაჯულთან წავალთო და ფიცით ვაჩვენებთო, რომ ჩვენ დიდს განსაცდელში ვართო, და მოვთხოვთ კარლისტები დააწყნაროსო, როგორათაც საზოგადოების მოსვენების აღმშფოთველები. ნახევარი საფრანგეთელნი, არ ვიცით რა მიზეზით, სადღაც გაჰქრნენ და ნახევარი კი მოემზადნენ საბრძოლველად, რადგანაც კარლისტები რადიკალები არ არიანო. ადვილი არ იყო ინგლისელების დარწმუნება იმაში, რომ მსაჯულის განაჩენი, დაფიცებულების ჩვენება და სხვა ამ გვარი წესდებანი ურწმუნო სახელმწიფოებისა, არ გამოდგებიან ღვთისნიერ ისპანიაშიო; მაგრამ როცა კი გაიგეს, რომ კარლისტები მუქარას ჰსდებენ იმათს თავისუფლებას და სვინიდისს, განაცხადეს, რომ თუ ვინიცობაა ჩვენ დაგვეცემიანო, ჩვენ უკანასკნელს ღონისძიებამდის ვიბრძოლებთ ჩვენის თავის დასაცველადაო. დიეგომ ამათ უველას დაურიგა თოფები, დამბაჩები და სხვა იარაღები. სუყველა ეს იარაღი დიეგომ მოაგროვა თავისის მეგობრების შემწეობით. შემდეგ თვითონ ორი რევოლვერით ჯიბეში დაუწყო ლოდინი ხალხის გროვას. ეს კი გულში მკვიდრად ჩაინერგა, რომ თავისის მხრით არ მიჰსცეს არავითარს მიზეზს, რომ ჩხუბი და ბრძოლა მოხდეს.

ხოლო ამ მომზადებაში დიეგომ ის კი ვედარ მოიფიქრა, რომ ისინი ძალა-უნებურად საქმეს იქნამდე მიაყვანინებდნენ, რომ უკან დაწევა შეუძლებელი ყოფილიყო, და როდესაც დიეგომ ეს ნათლად დაინახა, მაშინ გვიანღა იყო უარის თქმა. რა წამსაც კარლისტები აირივნენ, მაშინვე დიეგოს ქარხანასთან დაიწყო დაიარაღებულმა ხალხმა შეგროვება. ესენი იყვნენ ის ჯარისკაცნი და აფიცრები, რომელთაც არ მოინდომეს თავისის ბაირაღის ღალატობა; რამდენიმე თავისუფალი სამსახურიდგან აფიცარი, ვაჭრები, სტუდენტები და რამდენიმე დიეგოს პირადი მეგობარნი, სულ ორას კაცამდინ.

ამათ გაეგონათ, რომ ემზადებოდა საბრძოლველად, და, რადგანაც კაეკლობა გადამდებია, მოსულიყვნენ დიეგოსთან ამის ზედამხედველობა მიეღოთ და ისე დიმორჩილებოდნენ, როგორათაც თავიანთს თავ-მდგომარეს.

— თქვენი ქრისანა პატიოსანი ციხეა, ჩვენთქვა ეროვმა ადიტერმა, რომელმაც უურადღება მიაქცია იმასაც, რომ ქრისანა სიმაგრეთაც გამოდგებოდა. დიახ, კარგია, თუ ჩვენი საქმე ბრძოლაზედ მიდგება, უპასუხა დიეგომ,— მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ ვიცი, იქნება ბრძოლა თუ არა.

ამ შენიშვნის პასუხათ მოისმა თოთის ხმა. ეს პირველი ტყვია იყო კარლისტებისა, რომელნიც ეხლა ქუჩის თავში გამოჩნდნენ. ეს პირველი ტყვია თვით მამა მალალიასისა იყო. ქრისნიდგან გადმოჭიდეს თეთრი ბაირაღი*), მაგრამ მალალიასმა შორს დაიჭირა.

იმან წინათვე გამოუცხადა თავის მომხრეებს, უეჭველათ მიწასთან უნდა გავასწოროთ ეს ურჯულოების ბუდეო. თეთრი ბაირაღი რომ დაინახა, ჩვთქვა: ეს ტყვიალი ეშმაკობაა იმათია, იმათ კაცი არასოდეს არ უნდა მიუნდოსო. ხალხმაც თეთრი ბაირაღი შიშის ნიშნად მიიღო და ამიტომ უფრო აჭევნენ მალალიასის სიტყვას. ათის წამის განმავლობაში მთელი ქუჩა აიმსო წამლის ბოლით და ტყვია ისე მოდიოდა, როგორათაც სეტყვა. კარლისტები, ერიშით მივიდნენ, და დიეგო გერდა თავის ამხანაგებით იგერიებდნენ რაც ძალა და ღონე ჩქონდათ. სუფოველმხრივ ისმოდა დედაკაცების და ბავშვების ღრიალი, დაჭრილების წუეკა და კვნესა, მინების მსხვრევის ჩხრიალი და ჭედების ნგრევის ხმა. მაგრამ ეოველს ამ საშიშარ ხმაზე მომატებულათ ისმოდა უკვრილი მამა მალალიასისა, რომელიც კაცმა სწორედ უნდა ჩთქვას, ყველაზე წინ იყო, და სროლაშიაც ყველად მომატებულს მონაწილეობას იღებდა. მალალიასი გულდაჯერებული იყო, რომ თუ კარლისტები გაიმარჯვებენ მოენიჭება ეპისკოპოსის მიტრა და ბევრი სხვა ცხოვრების და საუფეველის ბედნიერებასა.... ამის იმედით ძალიან ირჯებოდა და დიდის მხნეობით თავის მომხრეებს უყვირდა: „ნუ შეიბრალებთ იმათ, ძმანო! ისინი ბევრნი არ არიან, და ვინც არიან ისინიც მშიშარნი არიან!“

იმის აღწერა არ შეიძლება, თუ რას გრძნობდა აღელინა, როდესაც ქალაქში პირველი თოთის ხმა მოისმა. იმან იცოდა, რომ ეს კარლისტების ბრძოლა იყო დიეგოს ქრისანასთან,— და სრულიად უტყუარი იქნება, რომ ვსთქვათ, რომ პირველი სუთი წამი ამას ეჩვენა სუთ წელიწადათ. აღელინა ამ დროს თავის ოთახში იჯდა, უცებ წამოხტა და ჩაირბინა კიბე, ეცა ქუჩის კარებს; მაგრამ კარები დაკეტილი დახვდა და უბედური ქალი დედამ მოსამსახურეების შემწეობით უკანვე დააბრუნა თავის ოთახში. აქ სუფველამ ერთათ გაატარეს სამი საათი; ამ სამის საათის განმავლობაში აღელინა უძრავად იდგა მუხლ მოდრეკილი შუა ოთახში, და სულის შემძრწუნებელის ვაებითა ქვითინებდა და ლოცულობდა მხურვალე გულით. სხვა დედა-კაცებიც იდგნენ დაჩოქილნი და კრიალოსნის მარცვლების თვლით ხმა დაბალ ლოცულობდნენ. დედა არა ცდილობდა აღელინას ნუგეშის ცემას, ამიტომ რომ იცოდა, თუ რა უალაგო იყო ნუგეში ამ შემთხვევაში. ხანდისხან მოსამსახურეები შიშით შეჭვირებდნენ, როდესაც ცხელ-ცხელი ტყვია თანჯრის წინ გაიელვებდა ხოლმე.

ძლივს ხუთ საათზე სროლამ იკლო. თოთის ხმა უფრო გვიან და გვიან მოისმოდა. შემდეგ სრულებით შესწყდა და ჩამოვარდა უფრო საშიშარი სიჩუმე, და ნახევარს საათამდინ გაჩსწია. აღელინა, როგორც გაქვავებული იდგა და სკამზედ ჩამოჯდა. იმისი თვალები უაზრათ იყურებოდნენ. მოსამსახურეები ცდილობდნენ იმისათვის ნუგეში ეცათ, მაგრამ ეს იმათ სრულიად ყურს არ უგდებდა. ბოლოს ერთმა იმათგანმა დაიყვირა: „მე ხმა ურობა მესმის! ეოველისთვრი გათავდა! გამარჯვების ხმა ისმის!“

მართლაც ქუჩაზე მოდიოდნენ გამარჯვებულები, გაშვებულები თოთის წამლით და სიხარულით მოიძახოდნენ. გამარჯვებულებს ეოველის მხრით მოერთმეოდა საჭმელი, ღვინო და სიგარები, სწორედ იმ რიგად, როგორათაც ეოველთვის გამარჯვებულებს მოექცევიან ხოლმე. გამარჯვებულები კარლისტები იყვნენ.

ერთი ემაწვილი მუშა ჯარის წინ მოდიოდა. ერთის ხელით თოთს ათამაშებდა და მეორით კეტნას უგზა-

*) თეთრი ბაირაღი მშვიდობიანობისა და მოლაპარაკების სურვილის ნიშანია.

ნიდა უმაწვილ ქალებს, რომელნიც ფანჯრებში გად-მომდგარიყვნენ. უცებ იმის მხარზე დაეშო პაწაწინა ხელი.

— დიეგო გერდა სად არის? ჰკითხა ადელინამ.

— დიეგო გერდა! სიცილით შეჰყვირა კარლისტმა: ის ბოლომდინ ვაჟკაცურად იბრძოდა, მაგრამ ჩვენმა კეთილმა მამა მალალიასმა ბოლო მოუღო თავის საკუთარის ხელით. მალალიასმა დიეგოს დამბაჩა დასცა უკანიდამ მაშინ, როდესაც დიეგო ზურგ შექცევით იდგა, და ურწმუნო იმავ წამშივე მკვდარი დაეცა მალალიასის ფერხთა წინაშე.

ამის თქმაზედ ადელინა შევარდა ხალხში, რომელიც იქვე მამა მალალიას გარს ერტყა, ეს მშვენიერი უმაწვილი ქალი უეცრად ეცა ხალხს, საჩქაროთ აქეთ იქით გასწია ხალხის გროვა და ისე გაცეცხლებული და გამალებული მივარდა მალალიას, როგორათაც გაშმაგებული ვეფხვი. მოულოდნელმა მუქუნჯმა წააქცია პატერი. უმაწვილი ქალი ზედ დაეცა და დაუწყო აქა-იქა რაღაცა იარაღით ჩხვლეტა. პატერს ყელიდგან წყაროსავით გადმოსქდა სისხლი და თვით ადელინასაც მოუსვარა პირი და ხელები. ეს ისე უმალ და სწრაფად მოხდა, რომ გაოცებისაგან ვეღარავინ ხელი ვერ გაანძრია. ბოლოს უმაწვილი ქალი წამოხტა, სახე სულ შეშლოდა, როგორც ჭკუიდამ შეშლილს, მერე მოჰყვა საზაროდ ხარხარს, უშველებელს მაკრატელს სულ გასისხლიანებულს ხელში ათამაშებდა და ყვიროდა:

— აჰა, ხომ ხედავთ ამ სულის მტერსა! ეს იყო პატერი და ამან მოჰკლა ჩემი დიეგო! მოჰკლა თავისის ხელით.... თავისის ხელით! ხა, ხა, ხა. ეხლა წავიდეს საიქიოს და უთხრას ჩემ დიეგოს, რომ მე იგი მიყვარს და საუკუნოთ არ დავივიწყებ. უყურეთ რასა ჰგავს ეს პატერი! ფუ! ამისი სისხლი მე მაჭუჭყიანებს, ჩამომრეცხეთ, ჩამომრეცხეთ!

ადელინა ჭკუაზე შესცდა.

ორის კვირის შემდეგ ადელინა დამარხეს უკურთხ მიწაში, რადგანაც პატერის სკვლელი იყო. მაგრამ ვიღაცამ დარგო ამის გაუნათლავ საფლავზე რამდენიმე ვარდის ბუჩქი, და ის ბუჩქები დღემდინ ასრულებენ იმის საფლავის ქვის მაგიერობას.

გაბაშვილი.

განცხადება

გამოვიდა და იყიდება ტფილისს ჩარკვიანის, გრიქუროვის და ვართანოვის წიგნის მაღაზიებში

დავა

ანუ

ტოჩკა და ზაპეტაია

კომედია ოთხ მოქმედებად

თხზულება თ. გიორგი ერისთავისა

ფასი ექვსი შაური.

განცხადებანი

მაისის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული

წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюля 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.